შპს სამედიცინო ცენტრი -ჯანმრთელობა“

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

დოკუმენტაცია

ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის შესახებ (**spv-33600000**)

სავარაუდო ღირებულება 1280 ლარი.

2012 წელი

<u>სარჩევი</u>

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3. ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვა მოთხოვნები

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

5. დამატებითი ინფორმაცია

6. დანართი N1, რეკვიზიტები

7. დანართი N2 , ფასების ცხრილი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების შესაბამისად.
1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია **ხელმოწერით/და ბეჭედდასმული**(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
1.5 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდეტმა (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, ასევე – მათი) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
2.2. ფიზიკური პირისათვის და ინდივიდუალური მეწარმისთვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან, რომ პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება;
ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის მიერ ასატვირთი დოკუმენტების ჩამონათვალი:

2.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ხარჯთაღრიცხვის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად (მითითებული უნდა იყოს კონკრეტული მედიკამენტების დასახელება და არა საერთაშორისო დასახელება);
ბ) რეკვიზიტები (დანართი №1).

2.4. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდგომ.
2.5. ამ პუნქტის 2.1. და 2.2. პუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები დედნის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნისამებრს, არაუმეტეს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.
2.6. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტების გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1 ამ ტენდერით შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	რინგერის ხსნარი 500მლ	ფლ	15
2	არტოქსანი 20მგ	ფლ	20
3	დიცინონი	ამპ	20
4	სომნოპოლი 1% 20მლ	ამპ	20
5	ცეფტრიაქსონი	ფლ	45
6	ფენტანილი 0,005%2მლ	ამპ	15
7	დორმიკუმი 15მგ/3მლ	ამპ	40
8	კორსოლექსი 5ლ	ც	1
9	ნატრიუმის ქლორიდი 0.9 % 500მლ	ფლ	60
10	სისტემა უფილტრო	ც	15
11	კათეტერი ვენის	ც	15
12	შპრიცი 2მლ	ც	20
13	შპრიცი 5მლ	ც	30
14	შპრიცი 10მლ	ც	20
15	შპრიცი 20მლ	ც	20
16	დიტილინი 2% 5მლ(ამპ)	ამპ	60
17	ატროპინი 1% (ამპ)	ამპ	30
18	ადრენალინი	ამპ	30
19	ლიდოკაინი 2% 2მლ	ამპ	30
20	ლეიკო 5/5	ც	5
21	მარლა 90/90	მ	10
22	ეთანოლის სპირტი 1000მლ	ფლ	1
23	ბამბა 50გ	ც	5
24	ხელთათმანი არასტერილური	ც	100

3. 2. მიწოდებული პროდუქტები უნდა იყოს რეგსირტირებული და ნებადართული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
3. 3. მიწოდებული პროდუქტების ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი მიწოდების მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის თვისებებიდან გამომდინარე, რომელიმე პროდუქციას აქვს 1 წელზე ნაკლები ვარგისიანობის ვადა, აღნიშნულის თაობაზე წინასწარ უნდა იყოს მიწოდებული ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
3.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 მაისის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად **3 (სამი)** კალენდარული დღის ვადაში. კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის დაცვით.

3. 5. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად მოწოდებული ობიექტების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების (რომელსაც მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ყოველი კონკრეტული მიწოდების დროს) აქტის შედგენიდან ყოველთვიურად, ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე 30 დღის ვადაში;
3.6. შესყიდვის ობიეტების მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, წინანდლის # 9
3. 7. სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
3. 8. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პიროებების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

---------- 2012 წ.

ერთის მხვრივ, **შპს" სამედიცინო ცენტრი – ჯანმრთელობა "**
(შემდგომში ,,შემსყიდველი'')წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თ. სინჯიაშვილის სახით და მეორეს მხვრივ, -------- (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1. 1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1. 2. "ხელშეკრულების ღირებულება"---------- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1. 3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში"შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მედიკამენტების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,, საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი
2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდება.
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, ხარჯთაღრიცხვაში (დანართი№2), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;
2.3. კლასიფიკატორის კოდი:CPV-33600000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- (----------)ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად მოწოდებული ობიექტების შესაბამისად, ყოველთვიურად მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 30 დღის განმავლობაში ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი'' შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.
5.2. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.
5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი დავადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი.
6.2. საქონლის მოწოდებას განახორციელებს მიმწოდებელი მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 მაისის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

7. გარანტია

მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდებიდან ერთი წლის მანძილზე მოახდინოს ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით ან ნაკლის მქონე საქონლის შეცვლა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკური დავალების შესაბამისად;
გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება გარანტიის მოქმედების ვადაში, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

9. 2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9. 3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10. 1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

10. 2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. 3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11. 1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11. 2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. 3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორი

12. 1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12. 2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდება ზეემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12. 3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13. 1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13. 2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს და ვის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14. 1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15. 1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 მაისის ჩათვლით.

შემსყიდველი | მიმწოდებელი

_____ | _____

დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტებს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, თბილისი, თბ.წინანდლის # 9

საკონტაქტო პირი: თ. სინჯიაშვილი ტელ: 2455399

1. რეკვიზიტები:

პრედენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

<u>პრეტენდენტის დასახელება და ხელმოწერა:</u>

დანართი№2

პრეტენდენტის დასახელება ----------

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ფასი
1	რინგერის ხსნარი 500მლ	ფლ	15		
2	არტოქსანი 20მგ	ფლ	20		
3	დიცინონი	ამპ	20		
4	სომნოპოლი 1% 20მლ	ამპ	20		
5	ცეფტრიაქსონი	ფლ	45		
6	ფენტანილი 0,005%2მლ	ამპ	15		
7	დორმიკუმი 15მგ/3მლ	ამპ	40		
8	კორსოლექსი 5ლ	ც	1		
9	ნატრიუმის ქლორიდი 0.9 % 500მლ	ფლ	60		
10	სისტემა უფილტრო	ც	15		
11	კათეტერი ვენის	ც	15		
12	შპრიცი 2მლ	ც	20		
13	შპრიცი 5მლ	ც	30		
14	შპრიცი 10მლ	ც	20		
15	შპრიცი 20მლ	ც	20		
16	დიტილინი 2% 5მლ(ამპ)	ამპ	60		
17	ატროპინი 1% (ამპ)	ამპ	30		
18	ადრენალინი	ამპ	30		
19	ლიდოკაინი 2% 2მლ	ამპ	30		
20	ლეიკო 5/5	ც	5		
21	მარლა 90/90	მ	10		

22	ეთანოლის სპირტი 1000მლ	ფლ	1		
23	ბამბა 50გ	ც	5		
24	ხელთათმანი არასტერილური	ც	100		

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი ----------